# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველდღიური გამოცემა კვირა-უქმეების შემდეგაც.— შაბათი, 12 თებერვალი 1900 წ. № 1042.

**გაზეთის ფასი:** წლიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цновисъ-Пурцели“—„Моамбе“.
ტელეფონი № 372.

1-ლ თებერვლიდან წლის დამლევამდე

„ცნობის ფურცელი“ ღირს 5 მ. 50 კ.

ფასის განაწილება: პირველად—3 მ. და 1-ლ აპრილამდე 2—მ. 50 კ.

1-ლ თებერვლიდან წლის დამლევამდე

„ცნობის ფურცელი“ და „მოამბე“ (იანვრის წიგნიანად) ერთად ეღირება 9 მ. 50 კ.

ამ ფულის განაწილება შეიძლება ასე: პირველად—4 მან., 1-ლ აპრილამდე—3 მ. და 1-ლ სექტემბრამდე—2 მ. 50 კ.

## ქართული თეატრი

კვირას, 13 თებერვალს,

ქართულ დრამატიულ საზოგადოების არტისტებისაგან წარმოდგენილი იქმნება

ქ-ბ. მ. საფაროვა-აბაშიძის მონაწილეობით

ბენეფისი

ქ-ბ. ტასო აბაშიძისა

ალიაქოთი კეთილშობილ ოჯახში

სამ-მოქმედებიანი კომედია

ცელქები

ვოდევილი სიმღერებით

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.—დასაწყისი 8 საათზე.

რეჟისორნი: ვ. აბაშიძე და კ. მესხი.

ოთხშაბათს, 16 თებერვალს, ბენეფისი ქ-ბ. ა. მ. კარგარეთელისა

ქართ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ა. ს. როინაშვილის მიერ ნაანდერძევი

ფოტოგრაფია

გადატანილ იქმნა ერევნის მოედანზედ, ხარაზოვის სახლი.

(ნ 0—7)

ქ. შ. წერა-კითხვის გავრცელებელი საზოგადოების ა. ს. როინაშვილის მიერ ნაანდერძევს ფოტოგრაფიაში საჭიროა ხაზინადარი-ქალი. მსურველთ ამ ადგილის მიღებისა შეუძლიანთ მიჰმართონ თხოვნით ხსენებულ საზოგადოების კანცელარიას არა უგვიანეს 15 თებერვლისა. ნ. 6—3

შაბათს, 12 თებერვალს 1900 წ., «ტფილისის სობრანიის» დარბაზში, ტფილისის მუსიკალურ სასწავლებლის კურს-დამთავრებული და უმაღლეს მუსიკალურ სწავლისათვის რუსეთში მიმავალი ზაქ. კ. ფალიაშვილი გამართავს

კონცერტს.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი ე. ლ. სოკოლოვისა, ბბ. ბ. რ. ვილმსუ, ნ. დ. კოვალენსკი, ი. ი. აგასოვი, კ. დ. ეიფიანი და ქალთა და ვაჟთა მომღერალი ხორო ზ. ფალიაშვილის დირიჟორობით. კონცერტის შემდეგ გაიმართება ცეკვა.

ბილეთები ისყიდება: წერა-კითხვის გამავრც. საზ. კანტორაში და ი. ფ. ფედოტოვის მუსიკალურ მაღაზიაში (გოლოვ. პროსპ., ზუბალოვის სახლი, № 7); კონცერტის დღეს «სობრანიის» სადგომში. (უ.) 5—5

## მთავრობის განკარგულებანი

ხელმწიფე იმპერატორმა, გარეშე საქმეთა მინისტრის უქვეშევრდომილესის მოხსენების ძალით, კეთილ ინება და ნება დართო მიიღონ და ატარონ სპარსეთის შაჰის მიერ ნაბოძები ორდენები: ბაქოს ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის მმართველობის მექანიკოსმა ნადვ. სოვეტნიკმა აბაშიძემ—ლომისა და მზის ორდენი მეორე ხარისხისა—და ბაქოს ფოსტა-ტელეგრაფის კონტორის მოხელემ კოლეჟ. რეგისტრ. ლოსაბერიძემ იგივე ორდენი მესამე ხარისხისა.

## ახალი ამბავი

✦ კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას სამიწად-მოქმედო სამინისტროსაგან მოსვლია დაწვრილებითი ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დაარსდეს სოფლად **წვრილ კრედიტის დაწესებულებანი:** შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობანი და საურთიერთო კრედიტის საზოგადოებანი. სამინისტრო ურჩევს სამეურნეო საზოგადოებას გაავრცელოს ეს ცნობები ხალხში და ეცადოს ამგვარ დაწესებულებათა დაარსებისთვის.

✦ ტფილისის მაზრის, სოფელ თონეთის საზოგადოების მცხოვრებთ, როგორც ჩვენ გავიგეთ, განუზრახავთ შეადგინონ სასოფლო თანხა, რომლიდანაც ხელი უნდა მოემართოს დროთა ვითარების გამო **გაჭირვებაში ჩავარდნილ გლეხკაცობას.** ამ თანხის მოკლე ხანში ადვილად შეგროვებისათვის სოფლელებს უმთავრეს წყაროდ დაუსახავთ ჩამოუზიდონ იქვე მანგლისში მდგომ ერევნის პოლკს სახელმწიფო ტყეებიდან შეშა და ამის გამო მოლაპარაკება აქვთ პოლკის უფროსთან. სოფლელების კეთილგანზრახვის საქმეს სათავეში უდგია ადგილობრივი მეურნე ნ. ი. ყავრიშვილი, რომელიც, იმედია, საქმეს გლეხების სასარგებლოდ დააბოლოვებს და მით მისცემს საშუალებას გაჭირვებულთ თავი დააღწიონ ადგილობრივ წურბელების სულთა-მხუთავ ბრჭყალებს.

✦ ამავე საზოგადოებისათვის ადგილობრივ ბოქაულს ბ-ნს გუგუშვილს წინადადება მიუცია, რომ მეურნეობის სხვა-და-სხვა დარგის გასაუმჯობესებლად სოფლელებმა გაიჩინონ საზოგადო **სანიმუშო ბაღი.** სოფლელებს ამ ბაღისათვის უკვე მოუძებნიათ შესაფერი ადგილი.

✦ „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ გამგეობამ ამ დღეებში მიიღო ოფიციალური ქაღალდი პეტერბურგის საიმპერატორო უნივერსიტეტის რექტორისაგან, რომელიც ხსენებულ საზოგადოებას სთხოვს დაუთმოს სამი თვის ვადით უნივერსიტეტს სამეცნიერო მიზნით მეათე საუკუნის ხელთნაწერი—**შატბერდის კრებული.** ეს კრებული თავის დროზე გაგზავნილ იქმნება პეტერბურგში დანიშნულებისამებრ.

✦ კავკასიის **ექიმთა** მომავალ **კრებაზე**, ახლად შედგენილ პროექტით, არა ექიმთაც შეეძლებათ დასწრება; მხოლოდ სექციების სხდომებზე, როდესაც სპეციალური მოხსენებები იქნება წაკითხული, კრების არა წევრთ არ შეუძლიანთ დაესწრონ. ვისაც ჰსურს კრების წევრად ჩაწერა, უნდა გადიხადოს 5 მანეთი.

✦ ერთის კვირის განმავლობაში, 1-ლ თებერვლიდან 8-მდე, სხვა-და-სხვა **გადამდებ სენით** ყოფილა ავად სულ 18 კაცი: 1—

ყვავილით, 1—წითელით, 11—ქუნთრუშით (1 მოკვდა), 1—ყელჭირვებით და 4—სხვა-და-სხვა ნაირ ტიფით.

✦ გავახსენებთ მკითხველთ, რომ დღეს „ტფილისის სობრანიეს“ დარბაზში გაიმართება საინტერესო კონცერტი ბ-ნ ფალიაშვილისა. კონცერტის გამმართავი თავის ხოროთი აგერ ერთი წელიწადია თითქმის სიამოვნებით იღებს ხოლმე მონაწილეობას ყოველგვარ ქართულ საქველმოქმედო საღამოებში, არ ეზარება აგრეთვე პროვინციაში წასვლა, რათა დაეხმაროს იქაც. გარდა ამისა, მან მშვენივრად გაწვრთნა თავისი ხორო და სწორედ სასიამოვნოა მათი ქართული სიმღერების მოსმენა, ამიტომ, იმედია, დღეს ჩვენი საზოგადოება თანაგრძნობით მიეგებება ბ-ნ ფალიაშვილის კონცერტს, მით უმეტეს, რომ ამ კონცერტის შემოსავლით პატივცემული ფალიაშვილი აპირებს მუსიკალურ სწავლის განგრძობას.

✦ **ტფილისის საკომერციო სასწავლებელში** სწავლა დაიწყება მომავალ ენკენისთვიდან. წელს გაიხსნება მოსამზადებელ კლასის უმცროსი და უფროსი განყოფილებანი და პირველი კლასი. მისაღები ეგზამენები უფროს განყოფილებაში, რომელშიაც მიიღებიან 9—11 წლის ბავშვები, და 1-ლ კლასში, რომელშიაც მიიღებიან 10—12 წლის ბავშვები, დაიწყება აპრილის ბოლო რიცხვებში. სწავლის ფასი: უმცროს მოსამზადებელში—80 მან., უფროს მოსამზადებელში—100 მან. და 1-ლ კლასში—120 მ. წელიწადში.

✦ რადგანაც წელს ზამთარში ყოველგან ამიერ კავკასიაში დიდი თოვლი იყო, შიში აქვთ, რომ მდინარეები მეტად ადიდდებიან და მცხოვრებთ ბევრ **ზარალს მისცემენ**. ამიტომ ადმინისტრაცია ეხლავ იღებს სხვა-და-სხვა ღონეს ამ უბედურების ასაცდენად.

✦ **ქ-ნ ანასტასია წერეთლისაგან** ჩვენ მოგვივიდა დასაბეჭდად შემდეგი წერილი: „ნება მომეცით თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოვუცხადო ყველა იმ პირთ და დაწესებულებათ, რომელთაც პირადათ ან წერილებით და დეპეშებით თანაგრძნობა გამომიცხადეს ჩემს ულრმეს მწუხარებაში განსვენებულის ჩემის მეუღლის გიორგი წერეთლის გარდაცვალების გამო“.

✦ კავკასიის სამეურნეო საზოგადოება წელსაც, წინა წლების მიხედვით, აარსებს ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიების ზოგიერთ ადგილებში საწყობებს, საიდანაც გაიყიდება ავადმყოფ ვენახისთვის **საჭირო წამლები და მანქანები**.

✦ ქუთაისის ქალაქის გამგეობას განუზრახავს დააარსოს ქუთაისის ღარიბ მუშათათვის და შევიწროებულთათვის **ღამის თავშესაფარი**.

✦ აბჟუყიდან (კოდორის ნაწილი, სოხუმის ოლქისა) გვწერენ: ცეცხლის წაკიდება ამ უკანასკნელ წლებამდის ძლიერ ნაკლებ იყო გავრცელებული აღმოსავლეთ აფხაზეთში. სამწუხაროდ ეს ავ-კაცობაც ამ უკანასკნელ დროს მეტის-მეტად გავრცელდა აქაურებში. გასული წლის დეკემბრის დამლევს ს. აკასქის მცხოვრებს მ. ო—ას ბოსელს ცეცხლი წაუკიდეს. გამოიწვა სამი ძროხა და ერთი კამეჩი. ამ წლის თებერვლის პირველს, ღამით, დაიწვა ს. გუფში ა. გ—ას სახლი და ყოველივე, რაც შიგ იყო. ამავე ღამეს ს. ფოქვეში ახლად გაკეთებულს და ასაბრუნებლად გამოწყობილს წისქვილს ცეცხლი წაუკიდეს და სულ ერთიანად გადაბუგეს. ამ გვარი ავკაცობის ჩამდენთაგანი თითქმის არავინ არ დასჯილა კანონით, რადგან ცეცხლის წაკიდების დამტკიცება მეტად ძნელია. ამ გარემოებამ მეტის-მეტად წაათამამა ბოროტ-მოქმედნი. რაც შეეხება ქურდობას, ესეც ძალიან გავრცელდა ამ ბოლო დროს. არავითარი ღონისძიება არ არის მიღებული ამ სენის მოსასპობად.

კოდორის ნაწილში (აბჟუაში) ახლა საკუთარი მომრიგებელი მოსამართლე არ არის. სამოქალაქო საქმეები ოჩამჩირეში აბარია ნაწილის უფროსს, რომელსაც, როგორც პოლიციის მოხელეს, არც მაგოდენა მოცალეობა აქვს ამ გვარ საქმეებისათვის და არც მაგოდენა გამოცდილება; ამიტომ ამ მხრივ ბევრნი ძლიერ შეიწროებულნი არიან. უმაღლესის მთავრობას კი ყველა ვერ მიჰმართავს თხოვნით. საზოგადო ტყეებში (ოჩამჩირის ტყეებში) იჭრება ხეები მთავრობის (მომრიგებელ მოსამართლის) ნება დაურთველად, რაც კანონით აკრძალულია, მაგრამ ამასაც არ აქცევენ ყურადღებას.

სიმინდის მაზანდა ძალიან დაბალია. ფუთი სიმინდი ოჩამჩირეში იყიდება ახლა შაურად.

# თეატრი

**ქართული წარმოდგენა.** ბ-ნმა ალექსი-მესხიშვილმა სწორედ მეტად შესაფერი პიესა ამოირჩია თავის საბენეფისოდ. ედმონდ კინი, დიდებული ავტორი და დიდ სულოვანი და კეთილშობილი კაცი თვალ-წინ ედგა ცოცხალი გუშინდელი ქართული წარმოდგენის მაყურებლებს. განსაკუთრებით საუცხოვო იყო არტისტი მესამე მოქმედებაში; ისეთის სიძლიერით, ისეთის ღრმა გრძნობით იყო წარმოთქმული ის მონოლოგი, სადაც „ჯამბაზი“ კინი მიწასთან ასწორებს „კეთილშობილ“ ლორდ ნევილს, რომ საზოგადოება სულგანაბული უსმენდა მას.

კარგი იყო ბ-ნი გედევანოვიც სუფლიორ სოლომონის როლში; ადგილ-ადგილ მისი თამაში გრძნობით სავსე იყო. დანარჩენები სუსტები იყვნენ და ისე ჰგავდნენ ჰერცოგებს, პრინცებს და გრაფინიებს, როგორც ბიჭები და გოგოები თავიანთ ბატონებს.

ქ-ბ-ნ ჩხეიძეს მეტად სცენიური გარეგნობა და სასიამოვნო ხმა აქვს, მაგრამ მისი თამაში სიცოცხლეს მოკლებულია. თავიდანვე ეს ნაკლი ემჩნეოდა არტისტ-ქალს და აქამდე ვერ მოუშორებია იგი თავიდან. ის მეტად გრძნობიერი სცენა, სადაც მის წინ მუხლ-მოყრილი კინი ისე მხურვალედ ლაპარაკობს თავის სიყვარულზე, ქ-ბ-ნმა ჩხეიძემ სრულებით უსიცოცხლოდ ჩაატარა. ისე იჯდა სავარძელში, თითქო ნაცნობთან სადარბაზოდ მოსულაო. ამიტომაც მან ვერ მოახდინა საზოგადოებაზედ კარგი შთაბეჭდილება.

მეტად ცოცხლად და სიმპატიურად ითამაშა თავისი პატარა როლი (აკრობატი პისტოლი) ქ-ბ-ნმა გარელმა.

მობენეფისეს ბევრი საჩუქრები მიართვეს. მაგრამ ყველაზე დიდი საჩუქარი არტისტისათვის ის მხურვალე თანაგრძნობა იყო, რომლითაც მას საზოგადოება დახვდა. წარმოდგენის გათავების შემდეგ, არტისტი ხელით წამოიყვანეს და თითქმის სასახლემდე მიწაზედ ფეხი არ დაუდგმევინებიათ. ბედნიერია ის კაცი, რომელსაც თავის ნიჭით ასეთი სიყვარულის დამსახურება შეუძლია.

თეატრში ტევა არ იყო. გარდა ვ. აბაშიძის ბენეფისისა, ამდენი ხალხი არ გვინახავს ქართულ თეატრში.

# დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“).

10 თებერვალი

**ლონდონი.** „ტაიმს“-ში იუწყებიან ჩიველეიდან 7 თებერვალს, რომ ბურების ბანაკში, რომელიც ინგლისელებმა აიღეს, იპოვეს წერილი, რომელშიაც ბურები ეხოვებიან მაშველ ჯარს; უპოვნიათ ამ წერილის პასუხიც, რომელშიაც სწერენ, რომ გაგზავნილ იქმნება 150 კაცი და მეტის გაგზავნა არ შეიძლება, რადგან ლედი სმიტის გარს შემორტყმული ჯარი ძალიან ცოტაა.

ჩიველეიდან „მორნინგ პოსტ“-ში 8 თებერვალს იუწყებიან: „ჯერ ჩვენ არ გაგვირღვევია ალყა ჯარისა, რომელიც ლედი-სმიტს გარს არტყია. წინ გვიდევს ცხარე ბრძოლა, მაგრამ ბურების მარჯვენა ფლანგი უკუ ვაგდეთ. ჩვენ ავიღეთ მაგარი მოსაგერებელი პოზიციები და ჯარის წინ წასვლისათვის ნაზრუნი გვაქვს მკვირფასი ფეხის მოსაკიდებელი ადგილები. ელანდსლაგტთან ბრძოლის შემდეგ პირველი შემთხვევაა, რომ მტერი აიძულეს კვლავ უკუქცეულიყო. ჯარის კაცთ წარსულ ღამ ეძინათ ბურების კარვებში გორაკის თავზე. პირდაპირ ჩვენ ვხედავთ ლედი-სმიტს. ჯარები მამაცად არიან“.

**ლონდონი.** „ტაიმს“-ი სწერს: „რობერტსის დუმილი შეიძლება სხვა-და-სხვანაირად აიხსნას; მაგრამ ეს დუმილი უფრო კი იმას უნდა ამტკიცებდეს, რომ ის ძნელი საქმეები, რომელიც რობერტსმა დაიწყო, ჯერ არ დაუსრულებია“.

„სტანდარტ“-ი ამბობს, რომ თუ მშველელი ჯარი, რომელიც ტუგელაზე გაუგზავნა კრონიეს, რობერტსის მოძრაობის ამბავის გაგებისათანავე დაიძრა, რამდენსამე რაზმს კიდევ შეუძლიან იყვნენ მოლოდინში, მაგრამ გაქირვებაში მყოფ ამბობენ მაგრამ მდ. მოდერის ზემო ნაწილზე. მაგრამ უფრო საფიქრებელია, რომ კრონიეს ჯარი იმათ მოსვლამდე ან ამოწყვეტილი, ან გაფანტული იქმნება.

იმავე გაზეთს დეპეშით ატყობინებენ კაპშტადტიდან 9 თებერვალს: „დეპეშა, რომელიც მიიღო გაზ. „Cape Argus“-მა პაარდებერგიდან, იუწყება, რომ კრონიე ალყა შემორტყმულია და მისი ჯარები დიდ განსაცდელშია. ბურები თავგანწირულად იბრძვიან“.

„ტაიმს“-ს ატყობინებენ, 7 თებერვალს, კრადოკიდან, რომ იქ კაპის მცხოვრებლების აჯანყების შიში აღარ აქვთ. მკვიდრთა შორისაც არსებობს სურვილი გამოუცხადონ ინგლისს ერთგულება.

„მორნინგ პოსტ“-ის მეორე გამოცემაში დაბეჭდილია შემდეგი დეპეშა ლედი-სმიტიდან, 7 თებერვალს: „ბურებმა გაგზავნეს წარსულ კვირას 400 ფურგონი დრაკონის მთებისაკენ; დღეს კი 130 ფურგონი წავიდა ჩრდილოეთით მოდდერ-სტრუიტის გაყოლებით; მიუხედავად ამისა, ბურების ჯარები ნაკლებად შემცირდა. ზარბაზნების სროლა არ შეწყვეტილა“.

„ტაიმს“-ს თეირანიდან ატყობინებენ, რომ რვა თებერვალს

ინგლისის ელჩი მაჰთან იყო და ოფიციალურად მიიწვია ინგლისში.

**ვაშინგტონი.** ესპანიის განცხადების თანახმად, ამერიკის გარეშე საქმეთა სამინისტრომ სცნო, რომ კაჰინსულუს წყლა სიბუტუს კუნძულები, რომელნიც მდებარეობენ ფილიპეს კუნძულების სამხრეთით, მათ არ ეკუთვნიან.

ოფიციალურ წრეებიდან აცხადებენ, რომ ხმა, ვითომც შეერთებული შტატები და გერმანია შეთანხმებულიყვნენ ტრანსვაალის საქმეებში ჩარევის შესახებ, მოკლებულია ყოველს საფუძველს. ამ გვარი კითხვა არც კი ყოფილა აღძრული.

**კილი.** პრინცმა ჰენრიხმა თავის ადიუტანტის თანხლებით ინახულა ვინ ვსევოლოჟსკი, რუსეთის გემის „ადმირალ ნახიმოვის“ უფროსი.

**კონსტანტინეპოლი.** სულთანის ბრძანებით (ირადე) სახელმწიფო საბჭომ უნდა შეიმუშაოს კანონ-პროექტი, რომლის ძალითაც ამიერიდან მადნების შემუშავების ნება მიეცემათ ოსმალეთის ქვეშევრდომთ. აქაურს დიპლომატიურ წრეებში იმ აზრისანი არიან, რომ ეს კანონი ეწინააღმდეგება მადნების შემუშავების წესდების მე-20 მუხლს და გამოიწვევს პროტესტს ყველა იმ სახელმწიფოთაგან, რომელთა ინტერესებსაც ეს მუხლი ეხება.

**ბუდაპესტი.** იმპერატორი ორ დღეს შეუძლოდ იყო; ეხლა უკეთ არის.

**ლედი-სმიტი.** ბარკლი-ისტის 300 მეამბოხე სტრომბერგიდან ბარკლ-ისტში დაბრუნდენ. ჰოლანდიელები ცდილობენ დაბრუნდენ ძველ ადგილებზე. ინგლისის ფერმერები ამზადებენ ყრილობას, რათა შეიმუშავონ ის პირობები, რომელნიც მოეთხოვებათ დაბრუნების მსურველ ჰოლანდიელებს.

**სტერკსპრაიტ.** როგორც ისმის, აჯანყებულთა მეთაურებს განზრახვა აქვთ დაემორჩილონ მთავრობას.

**ლონდონი.** ბულლერის წინამძღოლობით 7 თებერვალს მომხდარ ბრძოლაში ინგლისელებს მოუკლეს ერთი აფიცერი, დაუჭრეს 2 აფიცერი და 16 ჯარის კაცი.

**მოდდერ რივერი.** (9 თებერვალი. საღამო) კელლი-კენნის დივიზიამ კვირას, გათენებისას, იერიში მიიტანა კრონიეს ბანაკზე კუდუსვანდრიფტთან მდ. მოდერზე. ბრძოლა მთელი დღე გაგრძელდა. ინგლისელები, თუმცა ძლიერ დაზარალებულნი იყვნენ, წინ მიდიოდნენ. კვირას და ორშაბათს ინგლისელები ესროდნენ ბურების ბანაკს 50 ზარბაზნიდან. კრონიემ ითხოვა დროებით ომის შეწყვეტა; იგი გამოტყდა, რომ ორშაბათს მას მოუკლეს 800 კაცზე მეტი.

**პაადერბერგი.** 9 თებერვალს, საღამოს 6 საათზე, ინგლისელებმა აიღეს გორაკი, რომელიც ბურების ხელში იყო და დაატყვევეს 50 ბური. სხვაფრივ კრონიეს მდგომარეობა არ გამოცვლილა.

11 თებერვალი

**ლონდონი.** რობერტსი დეპეშით იუწყება პაარდებერგიდან: „დავრწმუნდი რა 20 თებერვალს, ჯეროვანის დაზვერის შემდეგ, რომ მტრის პოზიცია ძნელი ასაღებია, მე გარდავწყვიტე ზარბაზნებით დავუწყო მას სროლა და სრული ჩემი ყურადღება მივაქციე ბურების შიმშველ ჯარებს, რომელნიც ძალიან დავაზიანე და გავფანტე კიდეც. 50 ათმა ბურმა, რომელნიც ტყვედ წავიყვანე, მითხრეს, რომ ორი დღის წინად ისინი წამოვიდნენ ლედი-სმიტიდან. ინგლისელთ დაუჭრეს 2 ოფიცერი და 4 ჯარის-კაცი“.

სამხედრო სამინისტროს ცნობებით, რენსბურგთან ბრძოლაში ინგლისელებს მოუკლეს 14 კაცი, დაუჭრეს 1 ოფიცერი და 3 ჯარის-კაცი, ხოლო ტყვედ წაიყვანეს 3 ოფიცერი და 150 ჯარის-კაცი.

საღამოს გაზეთებს აუწყებენ პარდებერგიდან 9 თებერვალს, რომ ბურების ჯარების უფროსმა ბოტტმა კიდევ სცადა კრონიეს მიშველებოდა, მაგრამ სასტიკის ბრძოლის შემდეგ მისი ჯარი გაფანტულ იქმნა.

რობერტსი დეპეშით აუწყებს სამხედრო სამინისტროს 10 თებერვალს: „მეტუენი იტყობინება კიმბერლეიდან, რომ ქალაქში სიჩქარით შეაქვთ სხვა-და-სხვა სურსათი. საავადმყოფოები კარგად არიან დაყენებულები; მათში 150 მომვლელი ქალია. დაჭრილები კარგად გრძნობენ თავს. მეტუენი იმედოვნებს, რომ იქ ყოველივე მალე დამშვიდდება“.

პარლამენტს წარედგინა საყურადღებო კანონ-პროექტი, რომლით ადგილობრივი მმართველობა ვალდებულია შეიძინოს ქალაქებს გარედ ადგილები მუშათათვის სახლების ასაშენებლად.

ლორდთა პალატა. ტეინგემი კითხულობს: ‚არსებობს თუ არა ხელშეკრულობა რომელიმე სახელმწიფოსთან ინგლისსა და ტრანსვაალ შუა ომის მოსპობის შესახებ?“ სალისბიური უპასუხებს: „არ არსებობს არავითარი შეთანხმება არც ერთ სახელმწიფოსთან. არც ერთ სახელმწიფოსარ აღუძრავს კითხვა ამ გვარი შეთანხმების შესახებ“.

მიღებულია კანონი მევახშეობის მოსპობის შესახებ.

**ბერლინი.** „დაიტჩე ცაიტუნგ“-ს ატყობინებენ იაკობსდალიდან, ინგლისელთ წრეებიდან: „ტრანსვაალისა და ორანჟეს ბურებმა უკუ აგდეს ყველა ჩვენი ჯარები. ჩვენი არტილერია საკმარისი არ აღმოჩნდა: ორჯერვე ამაოდ ჩაგვიარა ცდამ მოგვეარა ბურების პოზიციისთვის. მაგდონალდის თავდასხმა კი ზურგიდან სრულიად უნაყოფო იყო. ამბობენ, რომ ას ოფიცერზე მეტი და 1500 ჯარის-კაცი დაჭრილია და მოკლული; აქამდის საავადმყოფოში მოიტანეს 52 დაჭრილი ოფიცერი და 600 ჯარის-კაცი. ორანჟეს ბურების მეორე რაზმი მიდის სამხრეთიდან იაკობსდალისაკენ.

იმავე გაზეთს კაპშტადტიდან ატყობინებენ, რომ რკინის გზის მიმოსვლა კიმბერლისკენ შეჩერებულია. ამბობენ, რომ ორანჟეს ბურებს კვლავ დაუჭერიათ პოზიციები კიმბერლეის გარშემო. ტელეგრაფის მავთულები შეწყვეტილია.

დურბანიდან იტყობინებიან, რომ ბურების უმთავრესი ჯარები ორანჟეს რესპუბლიკის საზღვრებისაკენ წავიდნენ. ლედი-სმიტს თავი დაანებეს.

**კონსტანტინეპოლი.** უსკაუბში წავიდა კომისია უკანასკნელ შემთხვევათა განსახილველად. კომისია შესდგება დივიზიის გენერლისა და სასჯულო სამინისტროს მოხელეთაგან.

**პარიზი.** უმაღლესი სასამართლო. ბრალდებითი ოქმი თხოულობს გაბერის განსამართლებას, ადვოკატი კი მის გამართლებას. კამათი დასრულდა. შემდეგი სხდომა დაინიშნა ხვალისათვის.

**ყაზანი.** გაიხსნა ბაქტერიოლოგიური ინსტიტუტი ყაზანის უნივერსიტეტისა.

დრ. რედ. **ალ. ჭყონია**

# გამოსადეგი ცნობანი

**საკალენდრო ცნობები.**

**შაბათი,** 12 თებერვალი; ახალი სტილით 24 თებერვალი. წლის დასრულებამდე დარჩა 323 დღე. მთვარის მე-27 დღე. ხსენება წმ. მელეტი დიდისა, მარიამისა და ევგენიასი და ალექსისა გამოცხადება ივერიის ღვთის მშობლისა ხატისა 1651 წ.

**კვირა,** 13 თებერვალი; ახალი სტილით 25 თებერვალი. წლის დასრულებამდე დარჩა 322 დღე. მთვარის მე-28 დღე. ხსენება ღირსისა მარტინიანესი, ევლოგისა და სვიმონ სერბიელისა.

შემდეგი უქმე—18 თებერვალი,—ყველიერი.

---

## ნიხრი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ხორცი ძროხისა | 1 | გ. | —11 | კ. |
| სუკი . . . . | 1 | » | —15 | კ. |
| » ცხვრისა . | » | » | —11 | კ. |
| » კამეჩისა. . | » | » | — 5 | კ. |
| » ღორისა. . | » | » | — 8 | კ. |
| » ღორის ზარკალი სალორეთი . | 1 | » | —10 | კ. |

(ძროხისა და ცხვრის ხორცს იის ფერი ბეჭედი ადევს, კამეჩს—მწვანე, ღორს—დამღა).

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პური ფურნისა | I ხარ. | 1 | გ. | 5 | კ. |
| » » | II | » | » | $3^1/_2$ | » |
| » » | III | » | » | 3 | » |
| იგივე თონისა | I | » | » | 5 | » |
| » » | II | » | » | 4 | » |
| » » | III | » | » | $3^1/_2$ | » |
| ლავაში ჯკ. მამ. | I | » | » | 6 | » |
| » » | II | » | » | 4 | » |

---

### ტფილისის ბაზრები:

| გაიყიდა მეიდნებზე: | | | კოკზალზე | |
|---|---|---|---|---|
| | ფუთი. | მ. კ. | მ. | კ. |
| ხორბალი საუკ. | 1 | 1 30 | 1 | 20 |
| ხორ. წითელი. . . | 1 | 1 15 | — | |
| ქერი . . . . . . | 1 | — 88 | — | 85 |
| სიმინდი . . . . . | 1 | — 70 | — | — |
| ფქვილი სოფლისა. | 1 | 1 20 | — | — |
| » უფრო მდარე. | 1 | 1 10 | — | — |
| კომბოსტო. . . . | 1 | — 60 | — | — |
| კარტოფილი . . . | 1 | — 60 | — | — |
| ხახვი . . . . . . | 1 | — 50 | — | — |
| თივა . . . . . . | 1 | — 60 | — | — |
| ბზე . . . . . . | 1 | — 28 | — | — |

შუშა რძხილისა 1 სრული საყ. საწყობებში 38 მ., შუშა ნარევი 36 მ. ცხვარი თუშისა 3 მ. 50 კ.-დან 5-მდე, ცხვარი თათრული 3 მ. 80 კაპეიკიდან 4 მ. 60 კ.-მდე, ღორი ადგილობრივი ჯიშისა 8.-დამ 8 მ. 50 კ.-მდე, ძროხა და ხარი აქაური საკლავი 30 მ.-დან 45 მ.-მდე, ხარი შესაბმელი,—კამეჩი —მ. -მდე, კამეჩი საკლავი 26 მ.-დამ 34 მან., შესაბმელი— მ.

---

### რუსეთის ბაზრები:

ფქვილი როსტოვში.

| ხარისხი. | | ხარისხი. | |
|---|---|---|---|
| № 0—9 | მ. 25 კ. | № 4—7 | » 25 » |
| № 1—8 | » 50 » | № 5—7 | » — » |
| № 2—8 | » — » | № 6—6 | » 75 » |
| № 3—7 | » 50 » | № 7—6 | » 25 » |

სიმინდი (ნოვოროსიისკში) 1 ფ. 54 კ. 41 კ. ქერი როსტოვში 66 კ. 62 კ.-მდე ნოვოროსისკში 68 კ. 69 კაპიკამდე.

მოტანა ტფილისამდე 1 ფ. 87 კ. შაქარი იქვე ფუთი 5 მან. 70 კ. „ფშხვნილი „ 4 „ 80 „

მატყლი ისპანიური, თეთრი ფ. 10 მ.—11 მ. 85 კ., მატყლი 10% შავ-ნარევი — ადგილობრივი — 3 მ. 50 კ.—4 მ. 10 კ., გარეცხილი 8 მ. 37 კ. ისპანიის ჯიშის ცხვრის ტყავი თითო 2 მ. 60 კ.-მდე.

---

### საავადმყოფოები

**ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო**, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში —12 მ. თვ. ცალკე ოთახში—60 მ. თვ.

**ქალაქის სამკურნალო.** მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ასათუროვისა. რჩევა 30 კაპ. ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხნოვი.

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:** ავლაბრისა, კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

**კუკიისა**, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

**ხარფუხისა**, ვორონცოვის ქუჩა, სახლი იედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

**თვალების სამკურნალო**, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

**ქალაქის საავადმყოფო სულით-ავადმყოფთათვის.** უფასო—იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენისა და ეკუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

---

### მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა.

**სახალხო მატარებელი № 1** ბაქოდან ტფილისში გამოდის 4 ს. 15 წ. დღ.; ტფილისში მოდის 8 ს. 40 წ. დილ.; ტფილისიდან ბათუმში გადის 9 ს. 10 წ. დილ., ბათუმში მიდის 8 ს. 32 წ. საღ.

სწრაფი მატარებელი № 3 ბაქოდან ტფილისში გამოდის ღამის 12 ს. 20 წ., ტფილისში მოდის საღამოს 6 ს. 28 წ.; ტფილისიდან ბათუმში გადის საღამ. 7 ს. 32 წუთ., ბათუმში მიდის დილის 8 ს. 12 წ.

**სახალხო მატარებელი № 2** ბათუმიდან ტფილისში გამოდის 9 ს. 15 წუთ. დილ., ტფილისში მოდის საღამოს 8 ს. 35 წ.; ტფილისიდან ბაქოში გადის საღ. 9 ს. 23 წ., ბაქოში მიდის 1 ს. 04 წ. დღის.

**სწრაფი მატარებელი № 4** ბათუმიდან თბილისში გამოდის 9 ს. 05 წ. საღ., თბილისში მოდის 9. 45 წ. დილით.; თბილისიდან ბაქოში გადის დილის 11 ს. 32 წ., ბაქოში მიდის დილის 6 ს. 15 წ.

მატარებელი № 5 ტფილისიდან ბორჯომში გადის დღისით 3 ს. 25 წ., ბორჯომში მიდის 8 ს. 23 წ. საღ.

**მატარებელი № 6** ბორჯომიდან ტფილისში გამოდის 8 ს. 20 წ. დილ., თბილისში მოდის დღისით 12 ს. 55 წ.

სამტრედიიდან ფოთში სამი სახალხო მატარებელი გადის დღეში: პირველი—ღამის 5 ს. 02 წ., მეორე —დღის 12 ს. 40 წ., მესამე—საღამოს 7 საათ. 30 წ., ფოთში მიდის—პირველი 7 საათ. 12 წ. დილით, მეორე—2 ს. 49 წ. დღ. და მესამე —9 ს. 49 წ. საღ.

**ფოთიდან** სამტრედიაში გადის სამი მატარებელი: პირველი—ღამის 1 ს. 11 წ., მეორე—დილის 6 ს. 20 წ., მესამე—საღ. 9 ს. 48 წ.; სამტრედიაში მიდის პირველი 3 ს. 20 წ. ღამის, მეორე—8 ს. 42 წ. დილის, მესამე—ღამის 11 ს. 57 წ.

ფოთიდან რიონში გადის დილის 6 ს. 20 წ., რიონში ფოთიდან მიდის დილის 6 ს. 45 წ.

**რიონიდგან** ქუთაისში გადის შვიდი მატარებელი: ღამის 3 ს. 55 წ., და 5 ს. 30 წ. დღის 1 ს. 30 და 4 ს. 50 წ., საღამოს 6 ს. 30 წ. დილის 8 ს. 45 წ. და 10 საათ.

**ქუთაისიდგან** რიონში მიდის ღამის 12 ს. 55 წ., და 4 ს. 40 წ. დღისით 12 ს. 30 წ., 3 ს. 50 წ., და 5 ს. 30 წ.,

**შორაპნიდან** ჭიათურაში გადის დღეში ორი სახალხო საქონლის მატარებელი. პირველი გადის დილის 6 ს. 50 წ., მეორე 5 ს. 15 წ. დღისით.

**ჭიათურაში** მიდის პირველი—დილის 9 ს. 42 წ. მეორე—საღამოს 8 ს. 07 წ.,

**ჭიათურიდგან** შორაპანში გადის ორი მატარებელი: პირველი 1 სკ 40 წ. დღისა, მეორე—საღამოს 11 ს. 15 წ. შორაპანში მიდის—პირველი დღისით 4 ს. 31 წ. მეორე—ღამის 2 ს. 05 წ.

მიხაილოვოდგან სურამში გადის დღეში ოთხი მატარებელი. პირველი ღამის 12 ს. 03 წ., მეორე დილის 6 ს. 25 წ., მესამე,—დღის 1 ს. 5 წ. და მეოთხე საღამოს 7 ს. 18 წ.

სურამში ყველა ეს მატარებლები 12 წ. განმავლობაში მიდიან.

სურამიდგან მიხაილოვში გადის ოთხი მატარებელი. პირველი ღამის 5 ს. 08 წ., მეორე დილის 11 ს. 48 წ., მესამე დღის 4 ს. 40 წ, მეოთხე—საღამოს 10 ს. 50 წ.

მიხაილოვში 12 წ. განმავლობაში მიდიან.

ქუთაისიდგან ტყიბულში გადის ღამის 6 ს. 50 წ. ტყიბულში ჩადის 10 ს. დილისა.

---

## განცხადებანი

**ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს**, რომ მის თანადასწრებით, 15 თებერვალს, შუადღის 12 საათზე, დანიშნულია გამგეობის სადგომში საჯარო ვაჭრობა, რომლით უნდა გაიცეს იჯარით ქალაქის საყასპოების გადაკეთების საქმე 3385 მანეთისა.

ვისაც ჰსურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, შეუძლიან გაიცნოს დაწვრილებითი პირობები გამგეობის აღმშენებელ განყოფილებაში ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 2-მდე.

ნ. 3—2

---

**ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს**, რომ მის თანადასწრებით, შუადღის 12 საათზე, 1900 წლის 17 თებერვალს, გამგეობის სადგომში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა, რომლით გაიცემა იჯარით **ქალაქის სასწორზედ გარდასახადის მოგროვებ-ის საქმე.** ეს სასწორი არის ტფილისში, სადაც ავჭალისა და ანდრეევის ქუჩა ერთმანეთს უერთდებიან. იჯარით გაიცემა აგრეთვე **ქალაქის ადგილი** ამ სასწორის სამხრეთით, რომელზედაც ეხლა ხილის გასასყიდი შენობა სდგას.

ვისაც ჰსურს ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება, შეუძლიან ინახულოს დაწვრილებითი პირობები გამგეობის მე-4 განყოფილებაში ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 2-მდე. (ნ. 3—1)

---

**იყიდება წარსულის წლის მაისში მოწეული ახალი ეფედრა ანუ „კუზმიჩის ბალახი“.** უმაღლესის ხარისხისა რკინის [illegible] ფუთებში ღირს 5 მანათად გირვანქა; არჩეული—3 მანათად გირვანქა და ველში მოკრეფილი—1 მან. გირვანქა. იგზავნება ფასდადებითაც. ამასთანავე მყიდველთ გაეგზავნებათ დარიგება თუ როგორ უნდა იხმარებოდეს ეფედრა. ვისაც ჰსურს დაწვრილებით გაიგოს, თუ რა ავადმყოფობას უხდება ეფედრა, უნდა გამოიწეროს ორი გირვანქა ეფედრა და მაშინ მას გაეგზავნება უფასოდ წიგნი ეფედრას შესახებ, შედგენილი მის აღმომჩენელის პ. ნ. პარტანსკის მიერ.

ადრესი: [illegible]вный складъ Эфедры Ник. Ег. [illegible]ковлева въ Бузулукѣ, Самарской губ.. (2—1)

---

Литературный, научный и политическій

ЖУРНАЛЪ

**„ЖИЗНЬ“**

**Вышла январьская книжка.**

СОДЕРЖАНІЕ: Дворецъ Дима. Н. Гарина.—Сѣдокъ. Разсказъ Л. Гуревичъ.—Могила его предковъ. Разсказъ Р. Киплинга.—Изъ крестьянскаго быта. Разсказы В. Стефаника.—О психологичесскомъ изученіи метафизическихъ иллюзій. И. Лапшина. Капитализмъ въ сельскомъ хозяйствы. Вл. Ильина.—Больная кров. Романъ А. Баранцевича.—Контрасты (съ англійскаго). Романъ Ричарда Уайтинга.—Микель-Анжело Буонаротти. П. Ге.— Въ защиту ортодоксіи. П. Маслова.—Въ оврагѣ. Повѣсть Антона Чехова.—Очерки текущей русской литературы. Андреевича.—Библіографія.—„Клубъ Невинныхъ“. Письмо изъ Германіи. А. Коврова.—новости иностранной литературы. А. Г—ъ—Сельскіе рабочіе на рынкахъ Херсонской губ. Хижнякова.—Подкладка нѣкоторыхъ новѣйшихъ земскихъ течевій. В. П—ова. Итоги дѣятельности черниговскаго губернскаго земства. С. Д. К.—а.—Провинціальныя картинки: Евг. Чирикова.—Хроника внутренней жизни.—Иностранное обозрѣніе: В. П.—Картина: „Съ Новымъ Годомъ“.—Портреты: Микель-Анжело и. Д. В. Григоровича.—Снимки соскульптуръ Микель-Анжело Буонаротти: „Моисей“, „Голова Давида“, „Мысль“, „Гробница Юліана Медичи“.

Подписка на 1900 годъ продолжается.

**Годовая цѣна 7 рублей съ доставкой и пересылкой.**

Допускается разсрочка отъ 1 руб. для подписывающихся черезъ главную контору. С. П Б., Знаменская, № 20.

***Съ мартовской книжки начнется печатаніе повѣсти*** М. Горькаго,

**„МУЖИКЪ“**

ა. 1—1

---

გამომც. გ. გუნია

Дозволено цензурою. Тифлисъ, 11 Февраля, 1900 г.

სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—ბს. ვანქის დიდი ქუჩა, № 27.